სერბეთის უწმინდესი პატრიარქი პორფირი: დევნა და ანტიეკლესიური ტერორი უკრაინაში სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 20.07.2024. უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის იერარქები, სასულიერო პირები და მორწმუნე ხალხი ღია დევნას განიცდიან, რომელსაც უმოწყალოდ ახორციელებს მათ მიმართ უკრაინის ხელისუფლება. ამის შესახებ ნათქვამია სერბეთის უწმინდეს პატრიარქ პორფირის წერილში, რომელიც მან პასუხად გამოუგზავნა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის უწმინდეს პატრიარქ კირილეს თავის **მიმართვაზე,** სადაც საუბარი იყო უკრაინაში მართლმადიდებელი მღვდელთმთავრების, მღვდელმსაუხრებისა და ერისკაცების დევნის აღმაშფოთებელ ფაქტებზე, ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკის გაშუქების ონლაინ საინფორმაციო რესურსების აკრძალვასა და დაბლოკვაზე, No8371 კანონპროექტის მეორე მოსმენით მიღებისთვის მზადებაზე, რომლის მიზანია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის ფაქტობრივი აკრძალვა.

„ნაცვლად იმისა, რომ მთელი ძალებით ეცადონ, შეაჩერონ შეიარაღებული კონფლიქტი ორ მოძმე ხალხს

შორის, რომლებიც მარადიულ ცხოვრებაში ერთი სანათლავიდან იშვნენ, მზაკვარის შხამიანი სიძულვილით აღძრული ბოროტმოქმედნი, არ წყვეტენ მცდელობებს გაანადგურონ უკანასკნელი ბასტიონი მათი ერთობისა უფლის სიყვარულში, რომელიც სწორედ რომ არის – უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია“, – აცხადებს პატრიარქი პორფირი. – მისი იერარქები, რომლებიც არა მხოლოდ ღიად და უშიშრად ამხელენ უღვთო ხელისუფლების ბოროტებას, არამედ არსებულ ვითარებაში უფრო მეტად იტანჯებიან, ვიდრე სხვები, – როგორც ქრისტეს ეკლესიის ერთგული მწყემსები, – დღეს შეთითხნილი სასამართლო პროცესების მთავარ ფიგურანტებად იქცნენ, და ისეთ სასჯელს ადებენ, რომელიც ყველაზე საზიზღარი დანაშაულისთვის არის განსაზღვრული. მათ ურყევ მოშურნეობას სარწმუნოებაში და ღვთის ერის სასარგებლოდ მსახურებას ყველაზე ზუსტად გამოხატავს მღვდელმოწამე ეგნატე ღმერთშემოსილის სიტყვები: „მე – ღვთის ხორბალი, დაე დამფქვან მხეცების კბილებმა, რათა ქრისტეს წმინდა პურად ვიქცე“. ვიცით რა მათი მზადყოფნა, თავგანწირვისა და ვაჟკაცობისათვის ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ, ჩვენ ძმურ ვალდებულებასა და იმის აუცილებლობას ვგრძნობთ, რომ მთელი მსოფლიოს წინაშე დავამოწმოთ მათი ტანჯვა, რასაც, თქვენო უწმინდესობავ, ძვირფასო ძმაო ქრისტეში, ჩვენ ყოველთვის ვასრულებთ უფლის მიმართ ლოცვებითა და სასოებით“.

სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა დიდი სინანულით აღნიშნა, რომ მართლმადიდებელი უკრაინელი ხალხის გოდება, – რომელიც ერთგულია თავისი კანონიკური ეკლესიისა, – „არ აღწევს მათ ყურამდე, ვის ხელშიც კონცენტრირებულია ძალაუფლება და ვისაც შეუძლია გავლენა მოახდინოს უკრაინის მთავრობაზე, რათა შეწყდეს დევნა და ანტიეკლესიური ტერორი, რომელიც სულ უფრო ფართო მასშტაბებს იძენს“.

მიმდინარე კონფლიქტი „გამოიყენება იმ გეგმის განხორციელების საბაბად. რომლის მიხედვიდაც ქვეყანაში უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის საქმიანობა საბოლოოდ უნდა აიკრძალოს, რათა მთელი სულიერი და მატერიალური კაპიტალი, რასაც აღნიშნული ეკლესია ფლობს, ფსევდოეკლესიის ხელში აღმოჩნდეს“, – აცხადებს უწმიდესი პატრიარქი. მისი აზრით, ამ პირობებში „ჩვენი მართლმადიდებელი ძმების ამჟამინდელი მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდება“, და ხაზი გაუსვა შეიარაღებული კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების მნიშვნელობას“.

„ჩვენ მომავალშიც ვეცდებით, გამოვიყენოთ ყველა სათანადო შემთხვევა იმისათვის, რომ ქრისტიანული და საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მივაპყროთ მათი ტანჯვისკენ, მოვუწოდოთ ყველა გავლენიან ინსტიტუციას, შეწყვიტონ თვალის დახუჭვა ყველა იმ სისასტიკეზე, რაც ჩადენილია უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ უკანასკნელი თვეებისა და წლების განმავლობაში. და, ბოლოს და ბოლოს, მივიღოთ ზომები ამ უკანონობის დასასრულებლად“, – აცხადებს სერბეთის მართლმადიდებელი ეკლესიის წინამძღვარმა და აქვე აღნიშნავს, რომ სერბეთში კვლავ განაგრძობენ მოუკლებელ ლოცვას უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისა და ტანჯული მორწმუნე ხალხისთვის.

„მკვდრეთით აღდგომილმა ღვთის მარადიულმა ლოგოსმა, დაე, უხვი კურთხევა მოუვლინოს მრავალტანჯულ უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიასა და მის დედა-ეკლესიას – უწმინდეს რუსეთის მართლმადიდებელ ეკლესიას. თქვენ კი, თქვენო უწმინდესობავ, ისევე როგორც მთელ იერარქიას, კლირსა და მორწმუნეებს, დაე, გარდამოგცემოდეთ ყოველგვარი კეთილი საბოძვარი მისი მარადმოუკლებელი საგანძურიდან!“ – ნათქვამია სერბეთის უწმინდეს პატრიარქ პორფირის წერილში.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/91995/